№ 38 **სახალხო გაზეთი** № 38

ხუთშაბათი, 22 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆—— ——◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

* * * ***ხელის მომწერთა საყურადღებოდ*** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ 7 მანეთი. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც **5 მან. 50 კაპ.** ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

სახალხო გაზეთის კანტორა.

ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

◆ **პატარა ცემში** ◆

გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.

(25—18)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 23 ივნისს, 1910 წ.

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სახლის სცენაზე თანამედროვე პიესა

● ყომარბაზის ცხოვრება ●

დრამა 5 მოქ. ა. ბაქიაშვილისა

ამ პიესას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ევროპის მთელ ქვეყნებში და ჯერაც დარჩენილია ყველა სახალხო რეპერტუარში. მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: თ. აფხაზიშვილი, მ. ლელაშვილი, ა. გავთელი; ბ-ნნი: ლ. ბაღაშვილი, გ. გელიკურაშვილი, ი. რევაზოვი, ა. გოჩიტაშვილი, რ. სალაყაია, ნ. მირველოვი, ბ. მაისურაძე ლ. მიწაბლვარელი, ს. სულთანოვი, დავიდოვი და სხ.,

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადმინისტრატორი **ლ ბაღაშვილი.**

(3—უ.—3)

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს

ივნისის ნომერი

◆ **ჟურნალ** ◆

„განათლებისა"

შემდეგის შინაარსით: 1. მზიანი სკოლა (ა. დაუგე) ლ. ბოცვაძისა. 2. სახალხო განათლების საქმე საქართველოში—**კახაბერიძისა.** 3. საუნჯე (ლექსი) **აკაკისა.** 4. სიმართლისკენ (სპარსული ზღაპარი მეგენივისა) **განწირულისა.** 5. მეგრული ნანა (ლექსი) **მელიტონ გოგჩიასი.** 6. გამოუთქმელი სიჩუმე **ცქვიტისა.** 7. აკაკის („გადარჩეულ ქებულის" გამო) ლექსი **ლადო გეგეჭკორისა.** 8. სამშობლოს მესწავლის, გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისთვის. 9. პედაგოგიის ისტორია დ-რ **ვაიმერისა.** 10. პროცესი გერმანელ პედაგოგის შარრელმანისა. Ratti-სა. 11. შინაური მიმოხილვა—რა უნდა ვკეთონ ზაფხულობით მასწავლებლებმა. **ლას-განისა** 12. მოწერილი ამბები—ზონიდან **აქილლესისა,** პეტერბურგიდან **ლადო გეგეჭკორისა.** 13. ბიბლიოგრაფია—„რას გვიამბობს ოთახი" **განისა.** 14. ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან—ელექტრონობა ბიბლიაში. 15. როდესაც ვიფრენთ (გერმანულიდან) **ივ. ყიფშიძისა.** და სხ. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებლათათვის 2 მანეთი.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе. რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ზურკი გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყო. დღე გარდა პარას. 4—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით.

(200—ნ.—209)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. **გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. **ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. **ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ი. **გ. ფიოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

(წლ.—ნ.—370)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

სარაპ—ბავშვ, შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგუცკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

აბულედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

თრემბოვსკი—ცხვ., ყელის, ყურისა. 11½—12½ საათ.

მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—56)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი აბასთუმანში **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—5)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰელიქიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—1)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის **სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყდრდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—90)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ჯგ.—72)

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—28)

ტფილისი, 22 ივნისი.

დღეს შესრულდა 30 წელიწადი, რაც ოფიციალურად დამტკიცებულ იქმნა „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" წესდება. სათეატრო საქმე ამაზე ადრეც არსებობდა. წესდების ოფიციალურად დამტკიცებამდე, არსებობდა „ქართულ წარმოდგენების მმართველი გამგეობა", რომელთა წევრებადაც ითვლებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, დავით ერისთავი, ნიკოლოზ ავალიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, დავით სარაჯიშვილი და იოსებ ბაქრაძე. ერთის წლის განმავლობაში ეს გამგეობა უძღვებოდა წარმოდგენების საქმეს, მანვე შეადგინა საზოგადოების წესდება და ამ რიგად საფუძველი ჩაუყარა დრამატიულ საზოგადოებას, რომლის პირველ გამგეობასაც შეადგენდნენ შემდეგი პირნი: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), აკაკი წერეთელი (თავმჯდომარის ამხანაგი), კონსტანტინე ყიფიანი (მდივანი), გიორგი თუმანიშვილი (მოლარე), რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ ქანანიშვილი და მიხეილ ყიფიანი.

ერთის წლის განმავლობაში, საზოგადოების ოფიციალურად დაარსებამდე, ე. ი. 1879 წლის სექტემბრიდან 1880 წლის ივნისამდე, ქართულ დასს 31 წარმოდგენა ტფილისში გაუმართავს, ოთხიც ქალაქ გორში. წარმოდგენების საქმე უწარმოებია უმეტეს შემთხვევაში დრამატიულ საზოგადოებას. 19 სეზონში გამგეობას გაუმართავს 674 წარმოდგენა, დანარჩენი სეზონები კერძო ამხანაგობებს ან პირებს უწარმოებიათ.

ამ რიგად ოცდა ათი წელიწადი დრამატიული საზოგადოება იყო ერთად-ერთად შეკავშირებული ძალა, რომელიც სცდილობდა ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად თეატრის საქმე გაეუმჯობესა ამ ჟამად მის მოქმედების დაფასებას არ შეუდგებით, არც დაწვრილებით განვიხილავთ იმას, რის გაკეთებაც აუცილებლად საჭიროა, თუ საზოგადოება ერთს წერტილზე გაყინვას არ მოისურვებს. გამოვსთქვამთ მხოლოდ ზოგად მოსაზრებებს ჩვენი თეატრის შესახებ.

იყო დრო, როდესაც ქველმოქმედება ჩვენი თეატრისთვის აუცილებლად საჭირო იყო. მაგრამ ის, რაც ოცი წლის წინად უებარ წამლად ითვლებოდა, დღეს საწამლავად უნდა ჩაითვალოს. ეხლანდელ დროში ქველ-მოქმედებით თეატრში ვერარავის წაიყვანთ. იყო დრო, როდესაც ქართველი საზოგადოება ქართულ თეატრში მარტო იმიტომ დადიოდა, რომ იგი ქართველი იყო. დღეს კი, თუ ესთეტიურად არ დააკმაყოფილეთ საზოგადოება, იგი თეატრში არ ივლის. დრამატიულ საზოგადოების მთელი გულისყური აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი. დრამატიულ საზოგადოების ერთად-ერთს საზრუნავს ეს უნდა შეადგენდეს. თუ წარმოდგენების საქმე ისე მოეწყო, რომ იგი მართლა ესტეტიურად დამაკმაყოფილებელი იქნება, გარწმუნებთ, ქართველი საზოგადოებაც სიამოვნებით დაიწყებს სიარულს თეატრში.

როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქართული თეატრის საქმე? ეს კითხვა ათას პასუხს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ორიოდეთი დავკმაყოფილდებით. უპირველესად ყოვლისა აუცილებლად საჭიროა, რომ თეატრმა მუდმივი, საკუთარი ბინა გაიჩინოს. სასაცილოა, მაგრამ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი ქართულ დასის მუდმივ ბინად ვერ ჩაითვლება. თეატრი მარტო კედლები არ არის. თეატრი ერთი-ორად მეტს ხარჯს აშენების შემდეგ თხოულობს. სცენის მოწყობა, ინვენტარის განახლება,—ყველა ეს აუცილებლად საჭიროა. თავად-აზნაურობას კი საქმე იმნაირათა აქვს დაყენებული, რომ ქართულ თეატრში მაყურებლებს გახრიოკებულ კედლების მეტს ვერაფერს აჩვენებენ ხოლმე. ქართულ დრამატიულ საზოგადოებასა და თავად-აზნაურთა შორის ფრიად არა ნორმალური ურთი-ერთობა არსებობს. დრამატიული საზოგადოება, როგორც ხან-მოკლე მოიჯარადრე, თეატრის გაუმჯობესებაზე ფულს ვერა ხარჯავს, თავად-აზნაურობა კი სრულიად არა

ექიმი ბორჯომში **ა. ს. ალადაშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ერუსლოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა.

მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **სჯირისა** და **კახური** ღვინოები

◀ ხაჩიბაბაშვ ▶

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე **№ 13.**

პატივისცემით **ჩაჩიბაია.**

(20—გაყ.—6)

იარმუკა დაბა ახალსენაკს.

პეტრე-პავლობის შვიდი დღის იარმუკაზე, რომელიც იწყება 23 ამა ივნისიდან, სხვათა შორის, გაიმართება ვაჭრობა სოფლის ხორაგეულისა და პირუტყვთა და აგრეთვე ცალკე დანიშნულ ადგილზე—კარვებში—ფართლის და სხვა ხორაგეულობათა, ხოლო 29 ივნისს მოხდება ცხენების მარულა (დოღი) შვიდი ვერსის მანძილზე. პრიზები დანიშნულია: პირველისათვის ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.), მეორისათვის—ორმოცი მანეთი (40 მ.) და მესამისთვის ოცდა ათი მან. (30 მ.) მთელ იარმუკის განმავლობაში დაუკრავს მუსიკა.

დეპუტატი **მელიტონ ოდიშარია.**

(2—ფ.—2)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

ალიონი

მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 1 ივლისამდე.

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა,** ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით და განმარტებებით. დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „ეკლესიის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მეორესი—დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება **1-ლ ივლისს.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ სისტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 21.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ. ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 21. **აქვე გადავიდა წიგნის მაღაზია „ალიონი".** (0—7)

წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

ცდილობს, რომ თეატრი ისე იყოს მოწყობილი, როგორც ამას თანამედროვე პირობები მოითხოვს. სათეატრო ტეხნიკა დღითი-დღე უმჯობესდება, იზრდება და რთულდება მაყურებლის გემოვნებაც, ჩვენი თეატრი კი ისევ ძველებურ სათეატრო ტეხნიკითა და მოწყობილებით გამოდის ასპარეზზე. ამისთანა პირობებში განა შესაძლებელია წარმატება, განვითარება? ეს ისეთი ნაკლია, რომელიც დრამატიულმა საზოგადოებამ დღესვე უნდა აიცდინოს თავიდან. როდესაც ეს უმთავრესი ნაკლი გასწორდება, თეატრის საქმეც უკეთესად წავა. ხალხი უფრო ხშირად დაიწყებს სიარულს, დრამატიულ საზოგადოებასაც სახსარი გაუჩნდება; ფული კი თავის წილად ნიჭიერ ახალგაზდათაც მიიზიდავს.

შემდეგ, როგორც ხშირად გამოუთქვამთ ჟურნალ-გაზეთებში, საჭიროა თეატრის გადემოკრატება. „განათლებული“ ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა სულიერად დიდი ხანია ჩამოშორდა ყველაფერს ქართულს. უნიჭიერო რუს მსახიობის ხილვა უფრო მეტს ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს მას, ვიდრე უნიჭიერეს ქართველისა. ეს მათ ბოროტის განზრახვით არ მოსდით.

ქართველი ინტელიგენტი იმდენად გადაგვარებულია, რომ რუსულად წარმოთქმული სიტყვა უფრო უხალისებს სმენას, მას შესისხლხორცებული აქვს სილამაზე რუსულ ენისა, ქართული ენა კი სმენას ვერ უტკბობს, ქართული ენის სილამაზეს იგი ვერა ხედავს. ქართულად გამოთქმული ტანჯვა-ვაება, რაც უნდა ნიჭიერად იყოს იგი გამოთქმული, გადაგვარებულ ინტელიგენტზე სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, სიხარული, დიდი და უდარდელი სიხარული მისთვის გაუგებარია, მიუწდომელი. ამისთანა პირობებში განა შესაძლებელია ქართულმა თეატრმა ქართველი „განათლებული“ საზოგადოება დააკმაყოფილოს? არასოდეს.

ხსნა ისევ ხალხშია. გამათახსიერებელ პირობებს ჯერ ხალხის გული არ გაუხრწნია; ქართველი ხალხი ქართულად გლოვობს, მწუხარებას, ქართულად მოსთქვამს, სიხარულსაც ქართულის ენით ამცნობს ქვეყანას. ამიტომ ქართულ წარმოდგენის სილამაზეს ის უფრო კარგად იცნობს. სცენაზე გამოთქმული მწუხარება იმისთვისაც მწუხარება იქნება, სიხარულიც—ნამდვილი სიხარული. ხალხი, მატარებელი ეროვნულ ცხოვრებისა, ჯერ-ჯერობით ყველაზე ნაკლებად გარხწნილი გამარუსებელ პოლიტიკით, ადვილად გამოიყვანს თეატრს განსაცდელისაგან.. თქვენ მხოლოდ ფართოდ გაუღეთ კარები ხელოვნების ტაძრისა.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

20-21 ივნისი.

საზღვარ-გარედ.

სოფია. ღამე ბოლგარია-ოსმალეთის საზღვარზე, ბუბნიცის ახლოს, ოსმალებსა და ბოლგარელებს შეტაკება მოუვიდათ. როგორც ხმა დადის, მოკლულია სამი ოსმალელი სალდათი. ჯერ ჯერობით ამ ხმის დამამტკიცებელი ოფიციალური ცნობა არ არის.

ვენა. „კორრესპონდენტ ბიურო“-ს ლვოვიდან ატყობინებენ: პოლიციამ გააშველა შეტაკებული სტუდენტები. ერთი ნაწილი მან აუდიტორიებში ჩაამწყვდია, სხვა ნაწილი უნივერსიტეტის დერეფანში გამოუშვა. გამოკითხვის შემდეგ თითქმის ყველა დაპატიმრებულნი განთავისუფლეს. დაჭრილებს საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. სამი დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს; ერთი მათგანი საღამოთი გარდაიცვალა. ერთ აუდიტორიაში 15 ბრაუნინგი იპოვნეს, შეიპყრეს სტუდენტი.

ვენა. „კორრესპ. ბიურო“ იუწყება: სააგენტოს ნამდვილ წყაროებიდან გაუგია, რომ პეტერბურგში დაპატიმრებული ბარონი უნგერნ-შტენბერგი ყველგან ცნობილია, როგორც ვენის დეპეშათა სააგენტოს კორრესპონდენტი. შტერნბერგის, ავსტრო-ვუნგრეთის ელჩის და გრაფ სპანოკის შორის სხვა არავითარი კავშირი არა ყოფილა, ამიტომ ტყუილია, ვითომ უნგერნ-შტერნბერგის საქმეს რამე კავშირი ჰქონდეს გრაფ სპანოკის პეტერბურგიდან წასვლასთან.

დამტკიცებულია, რომ მაიორი სპანოკი ყოველ წლივ ამ დროს ეთხოვება დასასვენებლად. ამ რამდენიმე თვის წინად მან ჩვეულებრივად ითხოვა დასასვენებლად წასვლის ნებართვა, რაიც მაშინვე მიიღო.

ბელგრადი. სერბიის პრეს-ბიურო იუწყება, რომ ტყუილია გაზეთების ის ცნობა, ვითომ პაშიჩის კაბინეტი გადადგომას აპირებდესო.

სოფია. ბოლგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: რადგან პროვინციებში ანტისემიტური აგიტაცია დაიწყო, შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა პროვინციების უფროსებს—ყოველნაირი ზომები მიიღეთ ანტისემიტურ ხასიათის მანიფესტაციების წინააღმდეგო.

კოპენჰაგენი. ახალი კაბინეტის შედგენა ხელმწიფემ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს კლაუს-ბერნტსენს მიანდო.

ვენა. 18 ივნისს გზათა სამინისტროში ორივე მხარესთვის საჭიროდ სცნეს რუსეთ-ავსტრიის საზღვარზე შეამსუბუქონ საპასპორტო და სადამოჟნო ფორმალური პირობები, რის შესახებაც ორივე მხარემ გარკვეული წინადადებანი უნდა წამოაყენოს. შემდეგ იქონიეს მსჯელობა საზღვრის რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლის აღნუსხვის გადაშინჯვაზე. მსჯელობა ჰქონდათ აგრეთვე ტარიფების შესახებაც.

სოფია. მოვიდა სოფიის კრებაში მონაწილე ჟურნალისტთა და ექიმთა ჯგუფი. ჟურნალისტთა დელეგაცია სტუმრებს ჯერ ცარიბროდში მიეგება და მერე სოფიაში. შეხვედრის დროს წარმოსთქვეს სიტყვები. ქალაქი მორთულია სხვა და სხვა სლავიანთა სახელმწიფოების ბაირაღებით. ხვალ მოელიან წარმომადგენლებს რუსეთიდან, სერბიიდან და ავსტრიიდან.

მადრიდი. პალატაში შეიტანეს 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით გასავალი ნავარაუდევია 1,045,865,026 პეზეტი (პეზეტი უდრის 37 ნახ. კაპ.), ხოლო შემოსავალი 1,131,456,210 პეზეტი. წინანდელ წელთან შედარებით გასავალი 51 მილიონი პეზეტით გაიზარდა. მთავრობა გამოსცემს 81 მილიონ პეზეტის ხაზინის სამ-პროცენტიან მოწმობებს. იმუშავებენ კანონ-პროექტს 10 წლის ვადით 1 ნახ. მილიარდის პეზეტის სესხის შესახებ.

ცეტინიე. ბერაჯში ოსმალეთის სალდათებმა აწამეს სერბიის რამდენიმე სალდათი. ამ ამბავმა მთელ ოლქში ერთი აურ-ზაური გამოიწვია. მცხოვრებლები მთებში გაიქცნენ. ზოგი ჩერნოგორიის საზღვარზე გადავიდა. ჩერნოგორიის მთავრობამ მიმართა რუსეთისა და სერბიის წარმომადგენლებს ცეტინიეში და სთხოვა რუსეთისა და სერბიას მთავრობებმა ჩერნოგორიის წარმომადგენელთან ერთად ოსმალეთის მთავრობის ყურადღება მიაქციონ მისი ჯარის-კაცების მოქმედებაზე. გუშინ ბერანის ოლქში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

ოსმალეთი

სტამბოლი. პატრიარქის აგიტაციამ ბერძენთა შორის მაკედონიაში ეკკლესიების დაყოფის კანონის წინააღმდეგ ნაყოფი ვერ გამოიტანა. როგორც ეტყობა სულთანი კანონს დაამტკიცებს. პატრიარქის მუქარამ, რომ თავს დაანებებს სამსახურს, გავლენა ვერ იქონია.

სალონიკი. როგორც ეტყობა მთავრობისაგან ნაბრძანებია მაკედონიის ვილაეთების მცხოვრებლებს იარაღი ჩამოართვან. სალონიკის ვილაეთში იარაღი უკვე ჩამოართვეს. სერესის ოლქში ბერძნებს ართმევენ იარაღს, ბოლგარელებს კი ჯერ-ჯერობით არა, რადგან სანდანსკის მხრით რეპრესიების ერიდებათ. იარაღის ჩამორთმევა დაიწყეს უსკიუბის სანჯაკში. პრეშოვის, ტიტოვის და უსკიუბის ყაზებში იარაღი უკვე ჩამოართვეს. 18 ივნისს შეუდგნენ იარაღის ჩამორთმევას დანარჩენ ყაზებში. ამ დღეებში მონასტირის ვილაეთშიც ჩამოართმევენ იარაღს.

სალონიკი. სოფელ კალისის მიდამოებში ჯარსა და ალბანელებს შორის სისხლის ღვრა მოხდა, რომელთაც იუსუფ-ბეი მეთაურობდა. ორივე მხარის ზარალი დიდია. ჯარის მისაშველებლად დიბრიდან და კოსტივარიდან ორი ბატალიონი წავიდა. დიბრაში სამხედრო სასამართლო მოქმედობს. ეს სასამართლო 165 კაცს ეძებს.

სპარსეთი

ურმია. თერგევერში მოვიდა ოსმალეთის ერთი ბატალიონი სამთო ზარბაზნით და მოწინავე პოზიცია დაიჭირა.

თეირანი. ტაგი-ზადემ მეჯლისს თხოვნა მისცა დროებით განთავისუფლდეს. აზრადა აქვს რამდენიმე ხნით სპარსეთიდან წავიდეს. მეჯლისის კომისიამ თხოვნა მიიღო. თეირანიდან ათი ვერსის მანძილზე მოშლის გზაზე სამმა ბახტიარმა დასჭრა და გაძარცვა ინგლისის ტელეგრაფის მოხელე. ძარცვა-გლეჯა მატულობს ისპაჰანის ახლო-მახლო, სადაც საზაფხულოდ დაბანაკებულ კაშკაელებს ურთიერთობა აქვთ ბახტიარებთან.

თეირანი. ხორასანის გენერალ-გუბერნატორად სოხაბიხტიარი დაინიშნა.

რუსეთი

ნიკოლაევი. გემთა საამშენებლო ქარხნების მექანიკურ განყოფილების მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და ხელფასის მომატება მოითხოვეს. ქარხნების ადმინისტრაციამ წინადადება მისცა მათ განაგრძონ მუშაობა წინანდელ პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დაგითხოვთო.

ცარიცინი. ბეკეტოვკას ახლოს ხეტყის საწყობების დაწვის მიზეზის გამოსაძიებლად მოვიდა გუბერნატორი და საოლქო სასამართლოს პროკურორი.

იაროსლავლი. ჯარის უფროსმა ვლადიმიროვს სიკვდილით დასჯა უვადო კატორგათ შეუცვალა. მას 1906 წელს ფოსტის გაძარცვა და ფოსტალიონის მოკვლა ბრალდებოდა.

ვარშავა. სენატორი ნეიდგარდტი თავის მოხელეებით ვარშავიდან 25 ივნისს წავა.

კალუგა. გაიხსნა გუბერნიის ერობის საგანგებო კრება. კრებას 28 მოხსენება აქვს განსახილველი, სხვათა შორის, პასხალოვის მოხსენება საგუბერნიო ერობის გაუქმების შესახებ.

ხარკოვი. ხარკოვის ქალაქის თვითმართველობის მთავრობამ ნება დართო 1910 წელს ივლისში ქ. ხარკოვში გამართოს ქალაქის ლომბარდების მოწესრიგეთა მეოთხე კრება.

პეტერბურგი. ჰავაის კუნძულებზე რუს ემიგრანტების ცუდ მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღების გამო რუსეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა შეერთებულ შტატების მთავრობას, აღარ გაუშვას ჰავაის კუნძულებზე რუსი ემიგრანტები. ამის გამო ამერიკის მთავრობამ დახურა საემიგრაციო ბიურო ხარბინში. რადგან ხსენებულ კუნძულებზე უკვე რამდენიმე ასი რუსია, რუსეთის მთავრობამ სთხოვა საფრანგეთისას, რუსების ინტერესების დაცვა თავის ელჩს დააკისროს და თუ საჭირო იქმნება გონოლულუში დაარსდეს რუსეთის საელჩო, იზრუნოს ამის განსახორციელებლად საკანონმდებლო წესრიგით.

ჰელსინგფორსი. ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ კონფისკაცია უყო ჟურნალ „კურიკკა“-ს 136 ნომერს რომელშიაც ხელმწიფეს შეურაცხყოფა დაინახა.

მოსკოვი. პოლიციელის მურატოვის მკვლელს ჟურავლიოვს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

მოსკოვი. ბრონნის მაზრაში 20 ივნისს გაიხსნება პირველი საგლეხო ობოლთა თავშესაფარი. თავშესაფარი გლეხების ხარჯზე გაიხსნება.

ნიჟნი. 18 ივნისს არდათოვის მაზრაში გაძარცვეს ფოსტა, რომელიც მაკატელემიდან ნატაშინის ქარხანაში მიდიოდა. არსადა სჩანს ფოსტალიონი. ფიქრობენ, რომ იგი მოჰკლეს. ერთი ცხენი დაჭრილია, მეორეთი მძარცველები გაიქცნენ.

სოლიკამსკი. შეიპყრეს ერთი ინგუში და ერთი ლატიში, რომელთაც 11 ივნისს ფოსტაზე დაცემა ბრალდებათ.

ოხანსკი. ხუთ სოფელში ძლიერმა ქარიშხალმა და სეტყვამ 300 დესეტინა ნათესი გაანადგურა, ბევრ სახლს ბანი მოგლიჯა.

ნიჟნი. არდათოვის მაზრაში ფოსტის გამძარცველებს 18 ვერსის მანძილზე წამოეწივნენ. სროლის დროს მოჰკლეს ერთი ყაჩაღი, რომელსაც 3419 მანეთი აღმოაჩნდა. დანარჩენ ორს გამოედევნენ. ფოსტალიონი მოკლულია.

ნიკოლაევსკი. გემთა საამშენებლო ქარხნებში მუშაობა განაახლეს.

კიევი. შრომის მოყვარულთა სახლის საზოგადოების საერთო კრებამ არ დაამტკიცა 1909 წლის ანგარიში. საზოგადოებამ დაუთანხმა სარევიზიო კომისიას, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხსენებულ წელს გამგეობის წყალობით საზოგადოებას 140,000 მანეთი უზარალხია. კრებაზე ამოირჩიეს კომისია, რომელმაც დამნაშავენი უნდა აღმოაჩინოს და ფული გადაახდევინოს.

ოდესა. ჩამოვიდნენ სოფიაში საერთო სლავიანთა კრებაზე მიმავალი სლავიანთა ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სხვა და სხვა ქალაქების წარმომადგენელნი და სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციის წევრები, სულ 100 კაცი. არის აგრეთვე პეტერბურგის და ხარკოვის შევარდენთა საზოგადოების წარმომადგენელნი, რომელნიც ბოლგარიაში მიემგზავრებიან შევარდენთა კრებაზე. მათ შორის ათი ქალია. სტუმრებს სათათბიროს წევრი ჩიჟევსკი და ადგილობრივ სლავიანთა საზოგადოების და ბოლგარეთის ახალშენის წარმომადგენელნი მიეგებნენ,

ხოლერა

ნიკოლაევი. ხერსონის მაზრის 34 სოფელში დღემდე ხოლერით ავად გახდა 94, გარდაიცვალა 114, მორჩა 52 კაცი.

ტამბოვი. უსმანის მაზრაში 13 ივნისს ხოლერით ავად გახდა 3, ბორისოგლებსკის მაზრაში ავად გახდა 3, კოზლოვისაში 8, გარდაიცვალა 3 კაცი,

---

საქართველო და რუსეთი*)

(ისტორიული მიმოხილვა რუს-ქართველთა დამოკიდებულებისა XV—XVIII-ს.)

I.

პირველი დესპანები და თარღუს შამხოლი.

შემდეგი *)

აქ საჭიროა, ვიდრე მოთხრობას განვაგრძობდეთ, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ დაღესტნის შამხოლებზედ. მას შემდეგ რაც 8 საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს დაღესტანი და მის გამგედ დასვეს შამბალა, დაღესტანი შეერთდა და საშიშარი ძალა შეიქმნა მეზობელთათვის. სატახტო ქალაქი მაშინ ყაზი-ყუმუხში იყო, მაგრამ შემდეგ რაც დრო გავიდა შამხოლები მთიდან ბარისაკენ იწევდნენ და ზღვის სანაპიროებს უახლოვდებოდნენ. აქ კასპიის ზღვის სიახლოვეს ბარათ ააგეს სატახტო ქალაქები თარღუსა და ბუინაქში. ამ უკანასკნელში მოსახლეობდა იორიმ შამხოლი, მას შემდეგ თვით შამხოლები დამკვიდრდნენ საბოლოოდ თარღუში. იორიმ შამხოლი ე. ი. ნახევარი შამხოლი, ერქვათ ბუინაქის გამგეებს. გამგეობა ეძლეოდა შამხოლის შემდეგ პირველს კაცს მათს გვარეულობაში. იორიმ შამხოლები არა იშვიათად უწევდნენ ხოლმე წინააღმდეგობას შამხოლებს, აგდებდნენ ხოლმე ტახტიდან და თითონვე ჯდებოდნენ. 15 და 16 საუკუნოებში შამხოლები ჯერ კიდევ ძლიერები იყვნენ, იმათ მუდამ ჟამს შეეძლოთ გამოეყვანათ 15,000 კარგად შეიარაღებული მხედრობა, როგორც რუსეთის წყაროები მოწმობენ. 17) ამ შამხოლებთან კახეთის მეფეებს, როგორც მათს მოსაზღვრეებს, კარგი განწყობილება ჰქონდათ ხოლმე. ლევან მეფეს კახეთისას თარღუს შამხოლის ქალი ჰყავდა მეორე ცოლად. მეფე ალექსანდრესაც შეაძლია თავისი ქალი შამხოლმა, მაგრამ ალექსანდრემ იორიმ შამხოლის ქალი ამჯობინა და ის ითხოვა ცოლად. შამხოლმა შეურაცყოფილად ჩასთვალა თავი და მოსისხლე მტრად გადაექცა ალექსანდრეს და მოსვენებას აღარ აძლევდა. შამხალს ძველი ჯავრიცა სჭირდა ალექსანდრესი, ტახტზედ ასვლის დროს ალექსანდრემ ამოჰხოცა თავის ძმები თავისს დედინაცვლის შამხოლის ქალისაგან ნაყოლი: ელიმურზა, გიორგი და სხვანი. ეხლა შამხოლმა ოსმალეთის საქართველოში მოკალათებით გული მოიცა, აღარაფერს ერიდებოდა და უსევდა ლეკებს კახეთს. მთის მიუვალ ფერდობიდამ ღამღამობით ეპარებოდნენ ლეკთა ურდოები, ეცემოდნენ მძინარე მცხოვრებლებს, მიჰყავდათ დაღესტანში, მონებად იხდიდნენ და მუსულმანობას ალცუბინებდნენ. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა მოიკალთა საქართველო-ში, მოსვენება აღარა გვაქვს შამხოლისაგანაო, მოახსენებენ ელჩები რუსეთის მთავრობას, ქოფაკ ძაღლებისავით უშიშრად დაწრწიან ყველგან და ქრისტიანს ხალხს დაღესტნისაკენ ერეკებიანო. მხოლოდ თქვენ ერთად-ერთს შეგიძლიანთ ჩვენი დახსნა შამხოლისაგანაო. ელჩები ითხოვენ 20,000 ჯარის-კაცის გაგზავნას შამხოლის წინააღმდეგ და მისი ქალაქის თარღუს დაჭერას და რუსეთის მხედრობის შიგ ჩაყენებასაო, ურომლისოდაც ყოველივე სხვა საშუალება ამაო იქნებაო. რუსები ჰპირდებიან, რომ გრამოტას მივწერთ შამხოლს, მოიტეხინებს და აღარ აიკლებს საქრისტიანო ქვეყანასაო, მაგრამ კახეთის ელჩები ამგვარის პოლიტიკით არ კმაყოფილდებიან და ფაქტიურს, რადიკალურს შემწეობას თხოულობენ. ჩვენ იმიტომ არ ვეყმეთ არც ოსმალეთს, არც სპარსეთს, რომ იმედი გვქონდა რუსეთი თავისს მხედრობით უფრო მეტს პატრონობას გაგვიწევდაო და ავაზაკ შამხოლისაგან გვიხსნიდაო, ეუბნებიან ელჩები. გრამოტის მიწერა კი არა შვილებიც, რომ მოგცეთ მძევლებათ, მაშინაც კი არ უნდა ენდოთ, რადგან მას ძალიან უმრავლესი შვილები ჰყავსო.

ერთის სიტყვით ქართველები სიტყვიდგან საქმეზედ გადადიან და იმ ფაქტიურს დახმარებას თხოულობენ, რასაც რუსეთი ჰპირდებოდა სამხედრო ქალაქის დაარსებით თერგის შესართავთან. ვნახოთ, როგორ აუსრულებს ამ თხოვნას რუსეთი?

რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაეკმაყოფილებინა კახელების მოთხოვნილობა და ბრძანება გასცა თერგისა და ასტრახანის სარდლებს გაელაშქრნათ შამხოლის წინააღმდეგ და ამასთანავე გზა გაეწმინდათ კახეთისაკენ და ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველ ეყოთ საქართველოში მიმოსვლა.

საქმე იმაში იყო, რომ უახლოესი გზა რუსეთიდან კახეთში შამხოლის სამფლობელოზედ მიდიოდა. თერგიდან მგზავრს შამხოლის სამფლობელოზედ და ყაზი-ყუმურზედ უნდა გაევლო და შემდეგ კავკასიონის მთაგრეხილით კახეთში გადასულიყო. თუ მგზავრი უზრუნველყოფილი არ იყო და შამხოლი არ გაუშვებდა, მაშინ დიდი გზის გავლა სჭირდებოდა ადამიანს და სწორედ ამ მახლობელი გზის გაწმენდა და უზრუნველყოფა განიძრახა რუსეთმა.

18 აპრილს 1589 წელს მეფე ალექსანდრეს ელჩები უკანვე კახეთისაკენ მიემგზავრებოდნენ, 23 იმავე თვისას მათსავე კვალს გაჰყვნენ რუსეთის ელჩებიც. მრავალ რიცხოვანი იყო ეს დესპანობა. გარდა ორის ელჩისა ზვენიგოროდსკი და მდივნის ანტონოვისა, მრავალნი სასულიერო პირნი გაემგზავრნენ საქართველოსაკენ. ესენი იყვნენ: ბერი და ხაზინადარი წმინდა სამების მონასტრისა ზაქეი, ბერმონაზონი იოსაფი, მდივანი ჩუდოვის მონასტრისა ფეოდორი, მღვდლები ბოგდანი და დიმიტრი და მთავარი ინონიკოვი. გარდა ამისა რუსეთის მეფე უგზავნის ალექსანდრეს საეკლესიო ჭურჭელს, შესამოს, მხატვრობისათვის ფერად-წამლებს და სხვ. სასულიერო პირთა შორის იყვნენ საეკკლესიო მხატვრობის მცოდნენიც. 18)

ამ ხნის განმავლობაში თერგის ციხე-ქალაქი კიდევაც აშენდა. 1588 წ. მეფის განკარგულებით გაგზავნილ იყვნენ ბურცევი და პროტასოვი, რომელთაც ააგეს ციხე-ქალაქი თერგის შესართავთან. ამ დღიდან ქალაქი თერგი თვალსაჩინო როლსა თამაშობდა მთელის ჩრდილოეთ-კავკასიაში და მეზობელ ერთა ცხოვრებაში. ამით რუსეთმა უპირველეს ყოვლისა ფეხი ჩასდგა კავკასიაში და დღეის უკან უფრო გაუადვილდა მეზობელ ერებთან დამოკიდებულება და გავლენის მოპოვება. ერთის სიტყვ თ, რუსეთმა საძირკველი ჩაუყარა თავისს დამკვიდრებას კავკასიაში. საქართველოსთან მიმოსვლა ეხლა ისეთი საშიში და სახიფათო აღარ იქნებოდა, როგორც წინად, რის გამოც მიმოსვლა უფრო უნდა გაცხოველებულიყო. ელჩებს შეეძლოთ არამც თუ შესვენება ხანგრძლივ მოგზაურობის დროს, არამედ გზაზედაც გაყოლება სადარაჯოთ საჭირო ყაზახების რაზმებისა.

1589 წელს გამოსული მოსკოვიდან რუსეთის ელჩები, თერგის ციხე-ქალაქს ჩამოუვლიან, გადასცემენ მეფის განკარგულებას შამხოლის შესახებ და შემდეგ დარიალის ხეობით საქართველოსაკენ წამოვლენ.

კახეთი ეხლა უფრო უარესს მდგომარეობაში იყო. ალექსანდრეს რუსეთთან დამოკიდებულობით გაბრაზებული ოსმალეთი კბილებს ულხჭრილებს კახელებს. სულთანმა ჩოუშები გამოუგზავნა და მუქარა-მუქარაზედ შემოუთვალა, თუ რომ შენს განძრახვაზედ ხელი არ აგიღია, ამ ზაფხულს მოვალ და მიწასთან გავასწორებ შენს სამფლობელოსაო, ქალაქებს ავიშენებ შენს მიწა-წყალში და ისეთსავე დღეს დაგაყენებ, როგორიც ქართლს ადგიაო. გარდა ამის ჩვეულებრივ ხარჯს, რომელსაც კახელები იხდიდნენ სულთნის სასარგებლოდ, მოუმატეს და კახეთი მწარე გაჭირვებაში ჩავარდა.19) დაღესტნის შამხოლი ხომ უფრო თავს წავიდა. ყველაზედ დიდი და საშიში მტერი ეხლა ის შეიქნა, შამხოლმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ალექსანდრეს. ურიცხვი შეიარაღებული რაზმები ჩამოდიოდნენ დაღესტნიდგან და იკლებდნენ კახეთს. მკაცრი პარტიზანული სისტემატიური ბრძოლა ასტეხა შამხოლმა. იკლებდნენ და სწვავდნენ მთელ სოფლებს, სჩეხავდნენ და აოხრებდნენ ბაღებსა და ვენახებს. არავის შებრალება არ ჰქონდათ—არც დიდისა არც პატარასა, ყველას უწყალოდ დაღესტნისკენ მიერეკებოდნენ.20) ერთის სიტყვით სავსებით იწყობოდა ის სურათი, რამაც ის საქმე გაუჭირა საქართველოს მეთერამეტე საუკუნეში.

თუ რა ტანჯვას აყენებდნენ ლეკები ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდით, მშვენივრად ახასიათებს რუსეთის მეისტორიე კოსტომაროვი. „პირქუში იყო დაღესტანი. არავითარი ადამიანური უფლება არ იხსნიდა ადამიანს მათის ბრჭყალებისგან, თუ კი ვინმე ჩაუვარდებოდათ ხელში, მონათ იხდიდნენ მა და შემდეგ ჰყიდნენ. მონობით ვაჭრობა უმთავრესს საჭაჭრო დარგს შეადგენდა დაღესტნის ბაზრისა. საშ

---

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 35.

17) იხ. Сборникъ свѣдѣній о Кавказскихъ горцахъ, изданіе кавказскаго горскаго управленія, т. 1.

18) სასულიერო პირთ მოჰქონდათ წერილი პატრიარქ იობისაგან ალექსანდრესთან. პატრიარქი აუწყებდა, რომ გიგზავნით რუსეთის სასულიერო პირთ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქართველთ ეკკლესიის გამართვა თანახმად წმიდა მამათა სწავლისა და იმათგან დადგენილის წესისა. ამის გამო კათალიკოსის თავმჯდომარეობით საეკკლესიო კრება მოხდა რუს-ქართველთა სამღვდელოებისა, მაგრამ ამაზედ ლაპარაკი, როცა არსენი სუხანოვის შესახებ გვექნება საუბარი.

19) იხ. Бѣлокуровъ, Сношенія Росс съ Кавказомъ გვ. 173.

20) ibidem.

ჩერნიგოვი. ქალაქში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი.

ნოვოჩერკასკი. ორი დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი; ოლქში ავად გახდა 154, გარდაიცვალა 66 კაცი.

ტაგანროგი. ხოლერით ავად გახდა 12 კაცი.

პეტერბურგი. ხოლერის გაჩენას იტყობინებიან ჩერნიგოვის გუბერნიიდან, სადაც ხოლერით ავად გამხდარა 65, გარდაცვლილა 24 კაცი; პავლოგრადსკში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 7 კაცი; კიევში ავად გახდა 139, გარდაიცვალა 73; კიევის გუბერნიაში ავად გახდა 93, გარდაიცვალა 24; როსტოვის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 411, გარდაიცვალა 171 კაცი.

ნოვოჩერკასკი. 20 ივნისამდე, კვირის განმავლობაში, ჩერკასის ოლქში ხოლერით ავად გახდა 176, გარდაიცვალა 77, მორჩა 67, ავად არის 84 კაცი; როსტოვის ოლქში ავად გახდა 140, გარდაიცვალა 68, მორჩა 78, ავად არის 100 კაცი; დონის პირველ ოლქში ავად გახდა 76, გარდაიცვალა 26, ავად არის 60 კაცი; სალის ოლქში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 17, მორჩა 7, ავად არის 22 კაცი; ტაგანროგის ოლქში ავად გახდა 75, გარდაიცვალა 19, მორჩა 24, ავად არის 62; ხოპერის და დონის მეორე ოლქში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 10 კაცი; სულ კვირის განმავლობაში ავად გახდა 614, გარდაიცვალა 249, მორჩა 207, ხოლო ავად არის 400 კაცი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ფოსტაზე თავდასხმა.** თიანეთიდან გვწერენ: 17 თიბათვეს ტფილის თიანეთის გზაზედ, საბადურის ყელზედ თიანეთს მომავალ ფოსტას დახვდნენ ყაჩაღები, რიცხვით ათ კაცამდე. ორი ცხენი მოჰკლეს. მცველი მსუბუქად დასჭრეს ხელში და თითებში. მხოლოდ ფოსტალიონი, როგორც კი გავარდნილიყო ერთი თოფი ყაჩაღების მხრივ, მაშინვე გადმომხტარიყო ეტლიდგან და თავისთვის ეშველნა. მცველ კაროვინის სიტყვით (პოლიციელი) ყაჩაღებს ორ ალგილას გაემართნათ საფარი გორის იქით და აქეთ მხარეს. როდესაც დაჭრილიყო კოროვინი და ცხენებიც დახოცილიყვნენ, თუმცა თავის მხრითაც ბევრი ესროლნა ყაჩაღებისთვის, მაგრამ მაინც გადმომხტარიყო ბოლოს და დამალულიყო. შორიდგან შემდეგი შეენიშნა: მთელი ფოსტა აეკივნათ და რაკი ფული ვერ ენახათ, ალარაფერი არ წაეღოთ, დაშლილი პარკები და კორესპონდენციები მიეტოვებინათ და მიმალულიყვნენ. არ გასულა სულ ერთი საათი რომ თოფის ხმაზედ, გაუვლია ახლო-მახლო დუშეთის ბოქაულს ორი მცველით და იქ გაჩენილა. თიანეთის მხრიდგან კიდევ ამ დღით დილით გასულნი, ტფილისისკენ მიმავალნი ფოსტის უმფროსი და ერწოს ბოქაული მისულან, ყაჩაღების ასავალ-დასავალი ჯერაც არ იციან. სწორეთ ამავე ადგილას და ამ მცველი კოროვინს ამ ორი-სამი წლის წინათ თავს დაესხნენ ყაჩაღები ფოსტას და ვერც მაშინ წაიღეს ფული. პირველ დაცემაზედ კოროვინი და ფოსტალიონი დამალულიყვნენ ახლო-მახლო ტყეებში და ამისთვის არავითარი ჭრილობები არა ჰქონდათ. არეულ-დარეული ფოსტა უკანვე ტფილისისკენ გამოესტუმრებინათ სხვა მცველის მფარველობის ქვეშ.

◆ **ევდოშვილის ავადმყოფობა.** როგორც ვიცით, პოეტი ი. ევდოშვილი ამ ჟამად მეტეხის სატუსაღოშია დაპატიმრებული და ადმინისტრატიულის წესით 5 წლით ასახლებენ რუსეთის ცივ ქვეყნებში. საპატიმროში ყოფნის დროს ევდოშვილი დაავადმყოფებულა—პლევრიტი გაჩენია და მეტად შეწუხებულია. თხოულობს თუ გზავნიან, მალე გაგზავნონ დანიშნულ ადგილს.

◆ **მადლობის გამოცხადება.** ბათომის ქალაქის საბჭოს დაუდგენია დახმარება აღმოუჩინოს რუსულ ჟურნალ „გოროდსკოე დელოს", რომელიც პეტერბურგში გამოდის. დახმარება უნდა გამოიხატოს სუბსიდიის გადადებაში და ფასიან განცხადებათა მიწოდებით. ამ დადგენილების გამო „გოროდსკოე დელოს" რედაქცია მადლობას უცხადებს ბათუმის ქალაქის საბჭოს და ამასთან სთხოვს აცნობოს, როდის და რამდენი დახმარება მიეცემა რედაქციას.

◆ **დაჩაგრულ ერთა უფლების დამცველი კონფერენცია.** „კასპს" ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: გაიხსნა კონფერენცია დაჩაგრულ ერთა უფლების დასაცავად. მონაწილეობას იღებენ ეგვიპტისა, ინდოეთისა, სპარსეთისა, ფინლანდიისა და საქართველოს წარმომადგენლნი. საქართველოს სახელით ილაპარაკა თავადმა წერეთელმა, რომელმაც თავისი სიტყვა დაამყარა ჰააგის კონფერენციაზე ქართველთაგან წარდგენილ მემორანდუმზე. ეს მემორანდუმი ჰააგის კონფერენციას განუხილველი დარჩა.

◆ **სროლა ავჭალაში.** 19 ივნისს, საღამოთი სოფ. ავჭალიდან მიხეილის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს მძიმედ დაჭრილი დარაჯი ოგანეზოვი. როგორც ავჭალიდან იტყობინებიან, ღამე სოფლის მამასახლისმა დარაჯების თანხლებით ერთი ადგილობრივი ბაღი გაჩხრიკა. რაკი ბოროტგანმზრახველებმა პოლიციის მოხელენი დაინახეს, სროლა ასტეხეს, მოკლეს მამასახლისი და მძიმედ დასჭრეს ზემოდ ხსენებული დარაჯი ოგანეზოვი. („უ. ტ.")

◆ **ყაჩაღის მოკვლა.** 13 ივნისს ღამე ნუხის მაზრის გიული-დაგის მიდამოებში უცნობებმა სამის ტყვიით მოკლეს ცნობილი ყაჩაღი ჯივარ ჯაბარ-ოღლი. სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისა და მკვლელობისა გამო ჯაბარ-ოღლის დიდი ხანია ეძებდნენ.

◆ **ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო.** საოლქო მმართველობის საზოგადო კრებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთელ თერგის ოლქში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. კრებას ოლქის ყველა წარმომადგენლები დაესწრნენ.

◆ **მკვლელობა.** სოფ. ძიმითში ამ რამდენიმე დღის წინად კალისტრატე მელუამ დანა დასცა გულში ბასა მელუას, რომელიც იმ წამში გარდაიცვალა. განსვენებული პატიოსანი ახალგაზრდა იყო. კალისტრატე დააპატიმრეს.

◆ **დის მკვლელის დაპატიმრება.** როგორც ვწერდით, ამას წინად სურამის მცხოვრებმა დათიკო აბაზაძემ თავისი და მოჰკლა რევოლვერით. როგორც ახლა გვატყობინებენ, 19 მაისს აბაზაძე ადგილობრივ გამომძიებლის განკარგულებით უკვე დაუპატიმრებიათ და გორის ციხეში გაუგზავნიათ.

◆ **საატცაზოვის დაჭრა.** 20 ივნისს, ღამის 3 საათზე, ხლებნი ქუჩაზე თავის სახლში ვიღამაც ხანჯლით მძიმედ დასჭრა ტფილ. ქალაქის გამგეობის საქმის მწარმოებელი ტფ. მოქალაქე ივანე იოსების ძე საატცაზოვი, რომელიც დაჭრილი აღმოჩნდა ხელსა და ზურგში. დაჭრილის ცოლის ნანას ჩვენებით საატცაზოვის დაჭრა ასე მოჰხდა: 4 უცნობი შემოვიდნენ ღია კარებიდან და ჯერ მე მეცნენ და დახრჩობა უნდოდათ, მაგრამ როცა ავუხსენ, რომ ფული არა მაქვს მეთქი, უცნობნი შემდეგ ოთახში გავიდნენ, სადაც ჩემს ქმარს ეძინა და ხანჯლები დაარტყესო. მე ყვირილი ავტეხე და უცნობნი სწრაფად გამოცვივდნენ ბალკონზე, გადახტნენ კედლიდან ქუჩაზე და მიიმალნენო. ბოროტმოქმედების ადგილას ჩქარა მოვიდა მეხუთე უბნის ბოქაული პოლიციელებით და მაძებარ პოლიციის უფროსი აგენტები და ამათ დაიწყეს სახლის დაწვრილებით გაჩხრეკა. საატცაზოვის ბალკონის შესავალთან მათ იპოვეს ერთი წყვილი აზიური ჩექმა, ხოლო დაჭრილის ოთახში ხანჯლის ქარქაში; სარდაფში კი, რომელიც ტერ-ოგანოვის სახლის ბალკონის ქვეშ იმყოფება, პოლიციელებმა იპოვეს სისხლიანი ხანჯალი. სარდაფის კარგად დათვალიერების შემდეგ ერთ ბნელ კუთხეში აღმოჩნდა უცნობი კაცი, რომელიც შეპყრობილ იქმნა. მან განაცხადა, ნოვობაიაზეთის, სოფელ გაგის მცხოვრები სუკიას ბარსეგის ძე პაპელიანცი ვარო. აგრედვე განაცხადა, რომ საატცაზოვი მე დავჭერი და ჩემთან სხვა არავინ ყოფილაო. საატცაზოვი დავჭერი და მოკვლა მინდოდა იმისთვის, რომ მისი ცოლი ქმრის მოკვლაში 550 მან. დამპირდა და ამ ფულის გარანტიად 550 მან. ვექსილი მომცა, რომელიც ამ ჟამად კათოლიკეთა შესახვევში მცხოვრებ ელისაბედ შაინიანცს აბარიაო. აღმოჩნდა, რომ ვექსილი შაინიანცისათვის საატცაზოვის ცოლს გადაეცია და უთქვამს პაპელიანცს მაშინ გადაეცი, როცა ჩემს ქმარს მოჰკლავსო. საატცაზოვის ცოლი და ელისაბედ შაინიანცი დააპატიმრეს. შაინიანცს ვექსილი აღმოაჩნდა და აგრედვე ფოტოგრაფიული სურათი და წერილები ტაშკენტში ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ ზაქარია ზალინოვისა. წერილები საატცაზოვის ცოლთან არის მოწერილი ზალინოვისგან და საარშიყო ხასიათი აქვთ.

◆ პლეტნიცკი ქუჩაზე თავის სახლში 19 ივნისს, დილით, ქმარის სამსახურში წასვლის შემდეგ, ელისაბედ შავარდენიძეს ტანისამოსზე ნავთი გადაუსხავს და შემდეგ ცეცხლი მოუცია. დამწვარი ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 20 ივნისს წილკნის ქუჩაზე მორფით თავი მოიწამლა ახალგაზრდა ქალმა რეჟგისკაიამ. იგი მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნა. მისი მდგომარეობა საშიში არ არის, თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ 20 ივნისს, ნაშუადღევს პირველ საათზე რიყის ქუჩაზე გერმანელთა ნომრებში თავი მოიწამლა ნიკიტა ალექსანდრეს ძე პარფენოვმა, 26 წ. მიზეზი სიღარიბეა.

◆ 19 და 20 ივნისს, ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 36 მათხოვარი შეიპყრო. მათ თავიანთ სამშობლოში ასახლებენ.

◆ ქ. თელავიდან გვწერენ: „ივნისის მეორე ნახევრიდან აღარ გაავდრებულა, რის გამოც საგრძნობელი სიცხეები დაიჭირა".

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის № 37-ში ნარკვევში დაბეჭდილი იყო: თქვენ ამ მდგომარეობას შეუფერებელ გულფიცხობით მხარს უჭერთ ფულების ამნაირად განაწილების, საქმეს. **უნდა იყოს:** „თქვენის მდგომარეობის შეუფერებელ გულფიცხობით და სხვა.

ქუთაისის რამე-რუმე

ყველა ჩვენთაგანს თვითონ გამოუცდია და დარწმუნებულა, თუ ცხოვრება თან და თან როგორ ძვირდება, მძიმდება და ხელმიუწვდომელი ხდება. მოთხოვნილება დროის მიხედვით იზრდება, დასაკმაყოფილებელი წყარო კი თან და თან კლებულობს, შრება. საით გაიქნევთ ხელს: და თან ბინა, სანოვაგე, ყოველგვარი საქონელი, წასვლა-წამოსვლა, ყველაფერს ისეთი წვეტიანი ეკლები ასხია, რომ მოახლოებისათანავე გჩხვლეტთ, გკბენთ, მაგრამ იძულებული ხართ, მაინც დანებდეთ დამორჩილდით და მოთმინებით ადიქურვოთ.

ყოველსავე ამას ჩვენ თითქოს შევეჩვიეთ, ესე ყოველი ჩვეულებრივ, დღიურ-მოვლინებად გადაიქცა, მაგრამ ჩვენი დრო იმით არის ღირს-შესანიშნავი, რომ მოულოდნელს—მოავლენს და ძნელად-სარწმუნოს ცხად ჰყოფს. თქვენი არ ვიცი ბ-ნებო, და მე მაგალითად მხოლოდ ეხლა შევიტყე, რომ სწავლა, იგივე სანოვაგე ან მაღაზიის საქონელი ყოფილა!..

. რომ იგი, როგორც მაგალითად ნავთი ან შაქარი ხან გაძვირდება ხან გაიაფდება (უფრო კი გაძვირება სჩვევია). თუ არ გჯერათ, ეს იმითი აიხსნება, რომ თქვენ არც შვილი და არც სხვა ვინმე ნათესავი არა გყავთ მისაბარებელი ან მიბარებული რომელიმე სასწავლებელში.

ჩემი შეხედულების დასამტკიცებლად კი შემდეგ მაგალითს მოგახსენებთ. გაზეთების ცნობებით ქუთაისის გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფასი 70 მ. ნაცვლად 80 მან. იქნებაო. ამრიგად მოუმატეს ერთი თუმანი. მერე რამდენისათვის იქნება ეს საძნელო და სამძიმო?.. დალოცვილებო, საქონელი მეტი ღირს—70 მან. ხელს არ გაძლევთ—მოუმატეთ. გახადეთ. რგვალი-ლამაზი ციფრი სამ ნიშნით **100**, სულ ერთია მშობლებისაგან გაუგებარ-ყრუ ბუტბუტის მეტს მაინც ვერას გაიგონებთ, სამაგიეროდ ზედ-მეტი ოქროები ჩაჩხრიალდება კასაში...

მართალია ძუნწი—კარაპეტა როცა ამბობს:

ფული, ფული,
გიცხონებს სულიო.

⁂

თურმე ქალაქის გამგეობასაც ძალიან უნდა რომ ჩაჩხრიალოს ჯიბეში „სკეტინ-რინგის" ფულები, მაგრამ როგორღაც საქმე „დუშაში" ვერ მოდის.

არ იცით რა არის „სკეტინ-რინგის" ფულები?.. ძალიან უკან ჩამორჩენილი ბრძანებულხართ, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც ჩვენს დედა-ქალაქში—ტფილისში მოხვდით, იქვერის დაღმართზე ნახავთ მოლიპულ გზა-ტკეცილებს, რომელზედაც ქალი და კაცი რკინის გორგოჭლებით ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „ეშმაკის ველოსიპედებით" ჯირითობენ და თავპირს იმტვრევენ. და აი სწორედ ამ სხვის თავ-პირის მტვრევაში ბ-ნი № ყვითელ ოქროებს ხვეტავს.

ამ „ეშმაკის ველოსიპედებ[illegible] ქუთაისსაც აუშალა [illegible] იმტვრიონ თავ-პირი, მაგრამ ადგილი ვერ უშოვიათ, ქალაქის შუა ადგილში შესაფერი ადგილი მონახეს და შორს სადმე მაყურებელს ვერ გაიტყუებ, თუნდ შუბლი გაიხვრიტო ტყვიით, დარჩათ ერთად-ერთი ქალაქის ბაღი და ამ საკრებულოს რამდენიმე უდრენს პირგაღებული. სცდილობენ გამოითხოვონ ნებართვა ამ ბაღში გამართონ ჯირითი. ქალაქის გამგეობა, რასაკვირველია, ჯერ უარზედა დგას, მაგრამ ძალიან სასაცილო საქმე დაემართებათ ქუთათურებს თუ ამ მისწრაფებამ ხორცი შეისხა და საქმედ გადაიქცა—სადღა უნდა წავიდნენ მოქალაქენი?... დარჩებათ ერთად-ერთი სალორიის ტყე.., მაგრამ...

⁂

...მაგრამ... სულ არ გადამავიწყდა?.. ამ ტყეს ეხლა სულ სხვა საპატიო როლი ხვდა წილად. დიაღ, როლი ისეთი, რომელზედაც ყველა სხვა ქუთაისის არე-მარეს სიხარბისაგან თვალები ეწირპლებათ, თითქოს ეს-ეს არის ცრემლებს წამოაპკურებენო.

ამ ორი დღის წინად, დილით ადრე შემხვდა ქუჩაში ჩემი ნაცნობი. იგი მუდამ მაღალ წრესა და წარჩინებულთა შორის ტრიალებს.

გაიგე, გუშინ საღამოს სალორიის ტყეში შაშვები რომ ააფრინესო?.. —დამეკითხა.

— რა შაშვები მეთქი, ვუპასუხე.

— მაშ, შენ არც კი გცოდნია? გუშინ ორმა თავადმა ერთმანეთს დამბაჩები დაახალეს, მაგრამ გუჩკოვ-მარკოვისებურად ერთმანეთს დააცილეს, და მხოლოდ ხის ტოტებზედ მშვიდად მოჭიკჭიკე შაშვებს გაუხეთქეს გული და გააფრინესო.

— ფუი, ეშმაკს! კინაღამ არ შეღებილა სალორიის მწვანე ტყე წარჩინებულ გვამთა წითელი სისხლით მეთქი,—ვთქვი ჩემთვის და გვერდზედ გავაფურთხე.

სალორიის ტყეს ამიტომ ისტორიაში საპატიო ადგილი ექნება დათმობილი... **ჯაფარ-ფაშა.**

დრამატიულ საზოგ. 30 წლის არსებობის გამო.

დღეს სწორედ ოცდა ათი წელიწადი ხდება, რაც დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება. ოცდა ათი წელიწადი რომელიმე ქართული დაწესებულებისთვის—ეს კარგა მანძილია ცხოვრებაში.

მაგრამ არსებობაც არის და არსებობაცა. დრამატიული საზოგადოება მარტო ქაღალდზე კი არ არსებობდა, არამედ—ნამდვილად, ცხოვრებაში. მთელი ოცდა ათი წელიწადი ქართულ თეატრს მხოლოდ ის უდგას სათავეში, ის სარდლობს მის მცირედ, დაქსაქსულ რაზმს. ყოველ წელიწადს ჰმართავდა ანტრეპრიზას და ასე თუ ისე მის შემწეობით ნორმალურ პირობებში იყო ჩაყენებული ქართული თეატრის საქმე; ეს დაწესებულება ყოველ წელიწადს ამცნევდა ქართველ საზოგადოებას თავის არსებობას თავისი შრომით, თავისი საქმით.

თავის თავად ჯერ ბევრი, ძალიან ბევრი ნაკლი აქვს მოსაშორებელი ამ საზოგადოებას, ბევრი წინსვლა და წარმატება სჭირდება მას, რომ ჩვენ გაძვალ-ტყავებულ ცხოვრებაში ხელთ იგდოს დროშა გამარჯვებისა და თავის მიზნის მიღწევისა, მაგრამ თვით არსებობა ქართულის თეატრისა მის შემწეობით,—ესეც მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენთვის.

მხოლოდ ეხლა ახლად უნდა დასვას მან კითხვა ქართული თეატრის არსებობაზე და უნდა მტკიცედ გადასწყვიტოს კიდეც—**იარსებოს.** მაგრამ ეს არსებობა აღარ შეიძლება გაგრძელდეს იმ გვარის საქმით, იმ გვარის სახით, როგორც არსებობდა ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში.

პირველი წლიდან ოცდა მეათე წლამდის თითქოს სულ არ შეცვლილა დრამატიული საზოგადოების მოღვაწეობა, ერთხელაც არ უცვლია სახე ან ფერი ქართულ თეატრს; თითქოს პირველი დღიდანვე გაეყინა ძარღვი წინსვლისა და განვითარებისათ. ცხოვრება კი ვითარდება; იგი შეუჩერებლივ მიდის წინ ყოველ წელიწადს, ყოველ თვეს, ყოველ დღეს, ჩვენი თეატრი კი კარგა მანძილზე ჩამორჩა მას, ჩამორჩა იმიტომ, რომ იგი ერთ წერტილზეა გაყინული, შეჩერებული და ცხოვრებაში შეჩერება კი—ეს ჩამორჩენაა.

წინად კიდევ შეეძლო ქართულ თეატრს არსებობა იმ სახით, რადგან მაშინ ასე თუ ისე დროც სწყალობდა და პირობებიც: ჯერ ერთი ტფილისში საუკეთესო თეატრად ითვლებოდა ქართული, მაშინ არც სახაზინო თეატრი იყო და არც არტისტიული; საუკეთესო მუდმივ დასადაც უფრო ქარ-

---

ნელს ტანჯვაში ჰყავდათ აქ მონები, უმეტესად ქრისტიანები. იმათ აიძულებდნენ მუსულმანობის მიღებას და თუ არ მიიღებდნენ, ძალზედ სტანჯავდნენ და აწამებდნენ" 21)

ასე სტანჯავდნენ, აწიოკებდნენ და ატიალებდნენ კახეთს დაღესტნის მოუსვენარი ლეკები. ამიტომ, ჩავიდნენ თუ არა რუსეთის ელჩები საქართველოში, ალექსანდრემ უპირველეს ყოვლისა სთხოვა დაუყონებლივ მიეღოთ ზომები შამხლის წინაღმდეგ და ეხსნათ მის აწიოკებიდგან კახეთი. ალექსანდრეს ბედზედ ამ დროს გაჩნდნენ 300 კაცზედ მეტი ყაზახი და ამგვარად დროებით იხსნეს გამოუსვლელი მდგომარეობიდგან რუსეთის ელჩებიც და კახელებიც.

ამ ყაზახთა რაზმის ამბავი ასე იყო. როგორც ზემონათქვამიდამ ვიცით, ქართლის მეფეს სვიმონს (დალისვიმონად წოდებულს) განუწყვეტელი ომი ჰქონდა ოსმალეთთან. მთელ თავისი სიცოცხლე ამ მხნემა და გულადმა მეფემ, რომელიც არაფერ ფიცერაკსა და ძალას არ უვარდებოდა, ერთს წუთსაც არ ჩაიფერხა, ვიდრე მტრის ლუკმად არ გახდა. გამუდმებული და აჩენბული ომისათვის საჭირო იყო მუდმივი რაზმიც. აი ამ რაზმში მოჰყვნენ ყაზახებიც. შემთხვევითი იყო ეს მოხვედრა, თუ განგებ გამოიწვია სვიმონმა ყაზახები არ ვიცით, მაგრამ ეს კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყაზახები სვიმონს ახლდნენ და გაიგეს თუ არა რუსეთის ელჩების მოსვლა მაშინვე მიატოვეს სვიმონი და კახეთისაკენ გამოიქცნენ.22) ეს ყაზახები სწორედ, რომ მისწრება იყო ალექსანდრესათვის. ალექსანდრემ რამდენიმე რაზმად გაჰყო ისინი და კავკასიის მთაგრეხილზედ გადმოსავალს გზებში ჩააყენა, რათა შამხლის ლეკები საქართველოსაკენ არ გამოეშვათ. მთელი ზაფხულის განმავლობაში დიდი შრომა დასდეს ყაზახებმა საქართველოს, მათის შიშით ერთს ლეკსაც არ გაუწაწნია იმ ზაფხულს კახეთში. მაგრამ ეს ხომ დროებითი მალამო იყო და როგორც მივიდნენ ყაზახები, ისევე თავისუფლად წავიდნენ.

ელჩები იმ ზამთარს კახეთში დარჩნენ. ალექსანდრემ გძელი მოლაპარაკება გაუმართა მათ შამხლისა და სხვა მტერთაგან კახეთის დაცვის გამო, რადგანაც სამეფოს მდგომარეობა დახანებას არ ითხოვდა. საქმე იმაში იყო, რომ იმ დროს სპარსეთმა თანდათან წამოიწია, შახაბაზმა წარჯვედ დააღწია თავი სპარსეთის არეულობას და თუმცა ჯერ სრულიად ვერ გამაგრებულიყო წელში, მაგრამ სპარსეთის ყოფილ ქვეშევრდომებთან უკვე მიწერ-მოწერა გამართა, რათა შემოერთებოდნენ მას ოსმალთა წინააღმდეგ.

საქმე თანდათან რთულდებოდა, ალექსანდრესაც მოუვიდა ამგვარი მოწოდება, რომელიც შახისაგან გამოგზავნილმა ელჩებმა მოუტანეს. ალექსანდრეს დიდი საკითხი უდგა წინ გადასაწყვეტი. ჩავარდა „საქმესა საჭოჭმანოსა". და ან კი რა ექნა? უკვე ხუთი წელიწადი გადიოდა, რაც რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო, მაგრამ რუსეთის დახმარება აქნობამდის ლითონ სიტყვადა რჩებოდა. ყიზილბაშებიო, ეუბნება მეფე ალექსანდრე ელჩებს, თუმცა მუსულმანები არიან, მაგრამ მათ მფარველობის ქვეშ თავისუფლად ვცხოვრობდითო და ქრისტიანობას არაფერ თვალსაჩინო ვნებას არ აყენებდნენო. რუსეთი კი ფუძეა და ქვაკუთხედი ქრისტიანობისა, აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ აღგვისრულოს რასაც გრამოტით შეგვპირდაო, დაგვიცვას თურქთა და შამხლისაგანაო და მუსულმანთა ლუკმად არ გაგვხადოსო. შამხლისაგან მაინც დაგვიხსენითო, ემუდარება ალექსანდრე და დანარჩენთ ჩვენ გავცემთ პასუხსაო.23) ელჩები მოახსენებენ, უკვე ბძანება არის გაცემული, თერგისა და ასტრახანის ჯარებმა გაილაშქრეს შამხალზედ, მდინარე ყოისუ წაართვეს შამხალსა და დიდს შევიწროვებაში ჰყავთ იგიო.

ვიდრე ალექსანდრეს გძელი მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ელჩებთან, რუსეთიდან მოსული მხატვრები გაცხარებულს მუშაობაში იყვნენ. ეკლესიებში მხატვრობა დაძველებულიყო და ზოგან სრულიად წაშლილიყო, თვით უდიდესი და უმშვენიერესი ალავერდის ტაძარის მხატვრობაც კი საჭიროებდა შეკეთებას. ახლად მოსულნი მხატვარნი, რომელთაც მოთავეობდა მხატვარი პოსტნიკ დერმინი, პირველად ალავერდის ეკლესიის კედლების დასახატავად გაიგზავნენ. ეკლესიები იმდენად საჭიროებდნენ მხატვრობას, რომ მეფე ალექსანდრემ კიდევ სთხოვა რუსეთს მხატვრების მიმატება.

ამ დროიდგან იწყება რუსეთის მხატვრობის შემოსვლა საქართველოში, რომლის კვალიც ჯერეთ ისევ შენახულია საქართველოში, რასაც მოწმობენ სლავიანური წარწერები და წელთაღრიცხვანი24).

გაზაფხულზედ ელჩები უკანვე რუსეთის გზას გაუდგნენ. მათვე გაჰყვა რუსეთიდგან ჩამოსული სამღვდელოება და ყაზახები. ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ 25 კაციღა დარჩა ისიც მარტო სახელისთვის, თორემ 25 კაცს აბა რა შეეძლო. მეფემ თან გააყოლა თავის ელჩებიც თავადი სოლომონი და ხურშიტ ჩერქეზიშვილი, რომელთაც დაბარებული ჰქონდათ დაბეჯითებით მოეთხოვნათ შამხლის წინააღმდეგ დიდის ლაშქარის გაგზავნა.

ალექსანდრეს კანონიერმა მოთხოვნამ ბოლოს როგორც იყო გასჭრა. შამხალი, რომლის მოჰკვიანების იმედიც ჰქონდათ რუსებს, თავისას არ იშლიდა. თანახმად მეფის ბრძანებისა თერგის სპასალარმა მრავალ გზის მიჰმართა შამხალს და მოსთხოვა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. შამხალი იბირებდა და თვალმაქცობდა, ვითომ მოსალაპარაკებლად კაცებსაც ჰგზავნიდა. ვაჭრები კიდევ ვითომ საქონლის გასაყიდავად მიდიოდნენ. თვალებს მოსატყუებლად რაღაც თხილი და ვაშლები მიჰქონდათ გასასყიდლად, მაგრამ მათი მიზანი სხვა იყო, ქალაქს ათვალიერებდნენ, ადგილ-მდებარეობას ჰგებულობდნენ და მძევლების მიცემაზედ და ქვეშევრდომობაზე-კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ. რუსეთის მთავრობას უნდოდა მაშინვე გაეგზავნა ჯარები შამხლის წინააღმდეგ, მაგრამ მოსკოვში იმ ჟამად მცხოვრებმა შამხლის სიძემ მურად კირეიმ სთხოვა რუსეთის მთავრობას, ჯარებს ნუ გაგზავნით, მე მოგარიგებთ შამხალთან და რუსეთის ქვეშევრდომობას მივაღებინებო. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მურად კირეის შუამდგომლობამაც ოდნავაც ვერ უშველა საქმის მდგომარეობას და შამხალს კვალად ამაყად ეჭირა თავი და არას გზით არ უნდოდა თავის მოხრა.

ზ. ედილი.

---

[21] იხ. Костомаров, Бунтъ Стенки Разина

[22] იხ. Руководсто къ познанію Кавказа, პროფეს წერილის თარგმანი.

[23] იხ. Бѣлокуровъ, сношенія Россіи съ Кавказомъ გვ. 178.

[24] იხ. Бакрадзе. Кавказъ въ дровнихъ памятникахъ христіанства. 1591 წელს იყვნენ კახეთში მხატვარნი: მაქსიმ ბაზაროვი, იური მინონი, მიგალეი, გაბილეგო; 1596 წელს ტარასოვი და მიგალენკო და სხვ.

თული ჩაითვლებოდა; ქართველი საზოგადოებაც არ იყო ისე გადაგვარებული, როგორც ეხლა, მაშინ მაინც ძლიერად ღვიოდა ინსტიქტიური სიყვარული ყოველგვარ ქართულისადმი და გემოვნებაც მაშინდელი აუდიტორიისა უფრო ერთფერი იქნებოდა, ეხლა კი ყველაფერი ეს შეიცვალა და ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამაც მისდაგვარად უნდა შესცვალოს თავისი მოღვაწეობა.

მან უნდა ძალა-უნებურად კონკურენცია გაუწიოს (რასაკვირველია ქართველებისათვის) სახაზინოსა და არტისტიულ თეატრს; ჩვენი თეატრი ისე უნდა ასწიოს მაღლა თავის ღირსებით, რომ იქ ხალხს იწვევდნენ არა როგორც ქართველს „სამადლოდ“, არამედ როგორც ესთეტიკისს—სიამოვნების მისაღებად; მხოლოდ ამ შემთხვევაშია უფრო მოსალოდნელი, რომ ქართული თეატრი იარსებებს, განვითარდება და დრამატიული საზოგადოებაც, როგორც ერთად-ერთი ორგანიზაციულად შეკავშირებული ხელმძღვანელი, ამას უნდა აქცევდეს ყურადღებას.

მაშ, დაე, დრამატიულ საზოგადოების ოცდა-ათი წლის არსებობა იყვეს დღესასწაული წარსულისა და სალამი განახლებულის მომავლისადმი.

ლელი.

მძარცველთა ბრბოს შეპყრობა

„კავკაზში“ დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობები მძარცველთა ბრბოს შეპყრობის შესახებ.

1906 და 1907 წ.წ. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან ცარცვა-გლეჯისა და შანტაჟისტობის გამო განდევნილ იქმნენ „შაბო“, „ალი-ბალთა“, „დავახეთქე“, „მრთე“, „სომკა“, შაინიონელი, კუტივაძე და სხვანი. ამათ შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი და სძარცვავდენ ხალხს. ეს ჯგუფი დიდხანს თარეშობდა ტფილისში. მუქარის წერილებით ფულებს აგროვებდა, ერთხანად სპარსეთშიც გადვიდნენ. 1910 წ. აპრილიდან უკვე განახლდა ამ ჯგუფის მოქმედება, სწერდნენ მუქარის წერილებს, სტყუებდენ ფულებს და იმ შემთხვევაში, თუ ფულს არ გადიხდიდენ—იარაღს ხმარობდენ—ყუმბარებს აფეთქებდენ და სხვ.

1909 წლის ენკენისთვეში ამ ბრბომ მუქარის წერილით ტფილისის ვაჭარს მიხეილ ყულიჯანოვს 10.000 მან. ფული მოსთხოვა. მუქარის წერილს ეწერა: „ჯგუფი ანარქისტ-ტერორისტებისა“ და მიიტანა „ალი-ბალთამ“. პოლიციამ შეიტყო ჯგუფის განზრახვა და ხელი შეუშალა მიზნის განხორციელებას.

1910 წლის აპრილში „შაბომ“ კვლავ შეაგროვა ჯგუფის წევრები და განაახლა ცარცვა-გლეჯა და ყულიჯანოვს კიდევ მოსთხოვეს ფული მხოლოდ ამ ხანად 10.000 მან. ნაცვლად 15.000 მან. მოსთხოვეს, 5 ათასი მანეთი ურჩობისათვის დაუმატეს. 15 აპრილს ბრბოს მეთაურნი „ალი-ბალთა“ „დავახეთქე“ და „კიპრი“ ყუმბარით გაემართენ ბაზრისაკენ, ვორონცოვის ქუჩაზე, სადაც ყულიჯანოვი სცხოვრობდა. საღამოს 8½ საათზე „ალი-ბალთა“ დარაჯად დაყენეს, ხოლო ყუმბარა „კიპრიმ“ წაიღო და ორთაჭალის ბაღების მხრიდან ყულიჯანოვის სახლის ეზოში გადისროლა, რომელიც საშინელის ხმით აფეთქდა, მაგრამ ზიანი კი არავის მიაყენა. იმ დროს შემთხვევით, ეზოში არავინა ყოფილა. ბრბო ამის შემდეგაც კვლავ განაგრძობდა ფულის მოთხოვნას. მაგრამ კარგა ხნის ვაჭრობის შემდეგ გაჩერდნენ 5 ათას მანეთზე. ჯგუფის წევრები იკრიბებოდენ ზამუკოვის დუქანში რიყეზე. მტკიცედ გადასწყვიტეს 5.000 მანეთზე არა დაეკლოთ რა, მაგრამ რადგან ყულიჯანოვი მაგრად იდგა, ჯგუფმა დანიშნა ყველა წევრთა კრება, 9 მაისს, კვირას, ჯგუფის წევრებს საერთოდ უნდა მოელაპარაკნათ და გადეწყვიტათ, თუ რა გზას უნდა დასდგომოდენ ყულიჯანოვის ურჩობის გამო. მართლაც, 9 მაისს, დილის 10 საათზე ზამუკოვის დუქანში თავი მოიყარეს ჯგუფის წევრებმა, მაძიებელ პოლიციის აგენტებს დაწვრილებითი ცნობები ჰქონდათ ამ წევრებზე და ყოველ მათს ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდენ თვალს. როდესაც ჯგუფის წევრთა უმრავლესობა დანიშნულ ადგილზე შეიკრიბა—მაძიებელ პოლიციის აგენტებმა აცნობეს ეს ამბავი თავიანთ უფროსს. დუქნის კარები დაკეტილი იყო, ფანჯრებიც დახურული. კარებთან მძარცველების დარაჯები იდგნენ. პოლიციელები უეცრად თავს წაადგნენ დარაჯებს, სტაცეს ხელი და შეიპყრეს, აგრეთვე შეიპყრეს ყველა ვინც დუქანში იყო. გადარჩა მხოლოდ შაბო, რომელიც მეორე დღეს კიდევ შეეცადა ფულის გამორთმევას. მიუგზავნა კაცი ყულიჯანოვს და შეუთვალა, რომ თუ 5000 მაინც არ გადიხდის მოკლულ იქნებაო. ყულიჯანოვს 13 მაისს ფოსტით წერილი მიუღია, სადაც ატყობინებდენ, რომ თუმცა ამხანაგები დაიჭირეს მაგრამ თავისუფლად არიან კიდევ რამდენიმე, რომ ისინიც შესძლებენ მუქარის შესრულებას. მაგრამ მეორე დღესვე—14 მაისს პოლიციამ შეიპყრო „შაბო“, „დავახეთქე“, მურადიანცი და კონდახჩიანცი. შეიპყრეს კიდევ გრიქუროვი, რომელიც შუა კაცად იყო ყულიჯანოვსა და მძარცველთა ბრბოს შუა. ამ ნაირად, მთელი ბრბო შეპყრობილ იქნა. „კიპრი“, „დავახეთქე“, კუტივაძე და გრიქუროვი გულახდილად გამოტყდენ ყველაფერში; ამასთან „კიპრი“ სოხაძემ ითხოვა შებრალება.

ამ საქმეზე დაპატიმრებულნი არიან: სოლომონ ჯანიეროვი, ალექსანდრე სოხაძე, ოჰანეზ ზამუტოვი, ალ. კუტილაძე, გეურქ შაინიანცი, გიგო გრიქუროვი, იოსებ ქურდოვანიძე, ანტონ ხატიაშვილი, გიორგი ტარიაშვილი, მოცე ახალბედაშვილი, იაგორ გოზალოვი, ვლადიმერ ბულუსაკი, ივან ხადური, აკოფ ღარიბოვი, ივანე კარაპეტიანცი, ბაბე ადამოვი, მარიამ არზუმანოვი და აბრამ გრიქუროვი, სულ 18 კაცი. მომეტებული ნაწილი ამ მძარცველებისა სხვა გვარზე სცხოვრობდა, და ეხლა პოლიციამ გამოარკვია მათი ვინაობა. რამდენიმეს ვინაობა ჯერაც არ არის გამორკვეული. ამავე ბრბოს ბრალდება ბევრი სხვა ცარცვა-გლეჯის ჩადენა. ტფ. ვაჭრის მიღოვის მაღაზიაში ყუმბარის აფეთქება და სხვა.

თეატრი და ხელოვნება

სახაფხულო თეატრი. 20 ივნისს ქართულ სახაფხულო თეატრსა და ბაღში გაიმართა სეირნობა და საღამო. წარმოადგინეს რ. ერისთავის ორ—მოქმედებიანი კომედია—„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. არა უშავდათ რა ნებიერიძეს, საფაროვს და ბეგლარიძეს. დანარჩენებზედ ესევე არ ითქმის.

საკონცერტო განყოფილება ძალიან სუსტი იყო. გვიკვირს, რად არა სცემენ პატივს ამ გვარ მომღერალ-დეკლამატორნი ან თავისს თავსა, ან დამსწრე საზოგადოებას! ერთი შენიშვნა ბ. გრიშაშვილს, რომელმაც წაიკითხა სცენები გლეხკაცის ცხოვრებიდგან. რა საჭირო იყო, იატაკის საგველი ჩოთქი რომ დაეჭირა ხელში? წაკითხულ სცენაში ის ამბობდა, წელან ბოსელში ურმის თვალს ვაკეთებდიო, სცენაზე კი ჩოთქით გამოვიდა. ამასთანავე გლეხის კილო და კინტოსი სხვა და სხვაა. იმას კი უფრო კინტოურის გამოთქმა ჰქონდა, ვინემ სოფლელი ტეტიისა.

სცენაზე ლეკურიც გამართა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეროვნული ცეკვა კარგია, მხოლოდ მაშინ. როცა ის დამახასიათებელია ხალხის ცხოვრებისა. აუცილებელია ეროვნული ცეკვა ეროვნულ ტანისამოსში. ამ საღამოზედ კი სამს წყვილში, მხოლოდ ერთს წყვილს ეცვა ეროვნულად. უბრალო ბლუზით ლეკურის ცეკვა სცენაზედ დიდ გამბედაობად და ზომის უქონლობად უნდა ჩაითვალოს. მოცეკვავეებში ისევე ქალები სჯობდნენ. უფრო კი პირველი და მესამე.

საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო.

რუსეთი

✦ **გუბერნატორის სამართალში მიცემა.** ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა თხოვნით მიმართა სენატს სამართალში მისცეს ვაზასის გუბერნატორი დე-პონტი, ან მისი ხელქვეითნი, რადგანაც მათ გამოაქვეყნეს საიდუმლო ცირკულიარი, რომლითაც გუბერნატორებს წინადადება ეძლეოდათ ყველა სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთა შესახებ ცნობები წარედგინათო.

✦ **სიმწიფის მოწმობებს აღარ აძლევენ.** კავკასიის სტავროპოლის მცხოვრებნი აღელვებულნი არიან ადგილობრივ გიმნაზიის დირექტორის საქციელით—მერვე კლასის პირველ განყოფილებაში კურს-დამთავრებულებს მოწმობებს აღარ აძლევს. გიმნაზიის ადმინისტრაცია ამ მოწაფეთა ყოფა-ქცევით უკმაყოფილოა. ეს უკმაყოფილება უფრო გამწვავებულა, როდესაც ერთს მოწაფეს ბროციხინს ცუდი ნიშნის გამო თავი მოუკლავს, ხოლო ამის გამო ეს მოწაფენი აღარ გამოცხადებულან გიმნაზიის მეჯლისზე. დირექტორს ამ კლასის დახურვა სდომებია, მაგრამ რაკი მინისტრის ცირკულიარით კლასის დახურვა დამოკიდებულია საკლასო კომისიისაგან, თავის განზრახვაზე ხელი აუღია და მოწაფენი ეგზამენზე დაუშვია. ეგზამენზე, რასაკვირველია, ბევრი ჩაუჭრია, ხოლო ვისაც გაუთავებია, მათთვის სიმწიფის მოწმობის მიცემაზე უარი უთქვამს, მიზეზად მეორე განყოფილების რამდენიმე მოწაფის გალახვა წამოუყენებია. მშობლებმა გადასწყვიტეს, მიმართონ გუბერნატორს და სთხოვონ საქმე გამოიძიოს.

✦ **ბერი ილიოდორე.** რუსულ გაზეთების სიტყვით, ცარიცინში საბირჟო კრებაზე დაადგინეს ეთხოვოს მთავრობას ცარიცინიდან გააძევოს ბერი ილიოდორე, რადგან ბეკეტოვკის ახლოს ხე-ტყის საწყობები მისი ქადაგების გავლენით დასწვესო.

✦ **რამდენი დეპუტატი ირიცხებოდა წარსულ შემოდგომის სესიაში.** წარსულ შემოდგომის სესიის გახსნის დროს სათათბიროში 438 დეპუტატი ირიცხებოდა. პარტიების მიხედვით ისინი ასე განიყოფიან: ოქტომბრისტები 132, (პირველ სესიის გახსნის დროს 153 ირიცხებოდა), ზომიერი მემარჯვენენი 78, კადეტები 54, მემარჯვენენი 48, პროგრესისტები 40, ნაციონალისტები 20, სოციალ-დემოკრატები 16, მშრომელთა ჯგუფი 14, პოლონეთის კოლო 10, უპარტიო 10, მაჰმადიანები 9, ლიტველთა და ბელორუსთა კოლო 7. შობისთვის ოქტომბრისტთა ფრაქციის და ზომიერ მემარჯვენეთა ზოგიერთა წევრებისაგან შესდგა რუს-ნაციონალისტების კავშირის ფრაქცია.

✦ **უმუშევარნი.** დონის-როსტოვის ქვა-ნახშირის მაღაროებში მუშაობის შემცირების გამო სამუშაოდან დაითხოვეს 10,000 მუშა. ეს ამოდენა ხალხი ულუკმა-პუროდ დარჩა. ადმინისტრაციამ მათ დროებით ბინის მიცემაზედაც კი უარი უთხრა.

✦ **ეგზამენის მსხვერპლი.** იზმაილის მაზრის დაბა ბოლგრადში წყალში თავი დაიხრჩო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფემ ჟელიაზსკოვმა, რომელიც იმავე კლასში დაანარჩუნეს. ნავში შემდეგი ბარათი იპოვეს: „მინდოდა მომეკლა დირექტორი სვიატსკი და მასწავლებელი ილინევსკი, მაგრამ მათი ცოლ-შვილი შემებრალა და ისევ მე ვიხრჩობ თავსაო“.

✦ **ჭეშმარიტ რუსის მაეროვის გალახვა.** სარატოვში მაჰმადიანებმა ძალზე სცემეს ხარკოვის ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრს მაეროვს. მიზეზად შემდეგი გარემოება იყო: ხსენებული მაეროვი გაჩნდა სარატოვში ბაზარზე და შავრაზმულ ლიტერატურის გავრცელება იწყო, თან მაჰმადიანთა შორის აგიტაციას ეწეოდა. აგიტაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო და მის შავრაზმულ წიგნაკს „მიწა და თავისუფლებას“ მაჰმადიანებმა ცეცხლი დააყარეს. მაეროვი ირწმუნებოდა, რომ მართმადიდებელი სარწმუნოება მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე მაღლა სდგას. მაჰმადიანები უპასუხებდნენ, ყოველი სარწმუნოება კარგია, თუ მას კაცი წმინდად შეასრულებს. მაეროვმა, რაკი ვერა გააწყო რა, ქუჩური გინება დაუწყო მაჰმადს. ეს იწყინეს მაჰმადიანებმა, სცემეს მაეროვს, და იქნება საქმე ადვილად არ გათავებულიყო, პოლიცია რომ არ ჩარეულიყო საქმეში.

✦ **ხელზე არ კოცნისთვის ყოფა-ქცევაში 4 დაუწერეს.** შემდეგს გადმოგვცემს გაზეთი „უტრო როს.“ ორენბურგში გიმნაზიის მერვე კლასის სამღვთო სჯულის ეგზამენზე დაესწრო ეპისკოპოსი. ეგზამენები კარგად მიდიოდა ბოლოს გამოუძახეს ერთ საუკეთესო მოწაფეს შუკშუნცევს. ეპისკოპოსმა მას ხუთი დაუწერა და თან ხელი გაუშვირა, მაგრამ მოწაფემ მას თვალი მოარიდა და პირი იქით მიიღო. ეპისკოპოსმა იწყინა ეს და უთხრა, თუ ხელზე არ მემთხვევი, ხუთს ორად გადაგისწორებო. ბოლოს დირექტორმა რის ვაი ვაგლახით დაარწმუნა მოწაფე ეპისკოპოსის წინ ბოდიში მოეხადა და ხელზე მთხვეოდა. ეპისკოპოსმა 2 ისევ 5 გადუსწორა. მაგრამ მეორე დღეს „საქმე“ პედაგოგიურ საბჭოში გაირჩა. საბჭომ დაადგინა მოწაფე შუკშუნცევს „ურჩობისთვის“ სიმწიფის მოწმობაში ყოფა-ქცევაში ოთხი დაუწეროს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი გამოვაცხადო.

თებერვალს პირველ რიცხვებში—16 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა ერთგვარი განცხადებით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტში არსებულ ილია ჭავჭავაძის წრეს. ამ განცხადებაში ხელის მომწერთა ჯგუფმა (ა. ტატიშვილი, კ. ფანიევი, ი. ჭავჭანიძე, ს. ვაჩნაძე, ნ. ქეიშვილი, ი. ალიბეგოვი, ზ. ლამბერაშვილი, გ. კუპაიძე, ჩ. კაპანაძე, მ. დავითაშვილი, ა. შალიგინი, მ. ზანდუკელი, სიმონოვი, იგ. დემუროვი, ფ ბურჭულაძე; შემდეგ მათ შეუერთდა ნ. ცინცაძე) **განსაზღვრული ბრალდებანი** წამოაყენა ჩემს წინაამდეგ*) და მოითხოვა წრის უახლოეს კრებაზე დაყენებულიყო საკითხი იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა ჩემი შემდეგში წრის წევრად ყოფნა.

ეს განცხადება მე თავიდანვე ცილისწამებათ მიმაჩნდა და მიმაჩნია, მის მიზნათ მხოლოდ პირად და პარტიულ ანგარიშების გასწორებასა ვხედავდი და ვხედავ. სხვა ფრივ ვერ ამეხსნა და ვერც აუხსნი **სხვათა შორის** იმ გარემოებას, რომ მე სწორედ იმ წრის დამაარსებელი ვარ, რომლიდანაც დღეს მათ ჩემ განდევნას მოითხოვენ, რომ მე ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ წრის ბიუროს თავმჯდომარედ მირჩევდენ და ხელის მომწერნი-კი **ყველანი** კი მის წევრებად ითვლებოდნენ—და მიუხედავათ ამისა წლევანდლამდე არც ერთს მათგანს კრინტი არ დაუძრავს იმ „დანაშაულზე“ (ვითომ!) რომელიც მათისავე სიტყვით, ჩამიდენია 1906 წელს!. სხვას ნურას ვიკითხავთ—ერთი ეს ვსთქვათ—დღემდე სად იყვნენ ეს ბატონები?! რა ნაირათ ურიგდებოდნენ იმ გარემოებას, რომ მათი წრის თავმჯდომარეს კისერზე ისეთი სამარცხვინო რამ აწევს, რისთვისაც დღესაც ისინი მის წრიდან გაძევებას, საჭიროდა სცნობენ?!... განა ეს თავისი ხელით თავზე ლაფის დასხმა არ არის?!...

ასე თუ ისე, პირველსავე კრებაზე, რომცა ხსენებული ბრალდება წაკითხულ იქნა, მე ის გადაკრით ცილისწამებათ ვაღიარე და ხელის მომწერთა ჯგუფი სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე **)... ვგონებ, მართალი ვიყავი თუ მტყუანი, ჯგუფს ნება არა ჰქონდა უარი ეთქვა ჩემს წინადადებაზე, თუ-კი ის მართლ სიმართლეს დაეძებდა და პირად ანგარიშებით არ იყო ამოძრავებულ. მიუხედავად ამ ჩემ სიმართლიან იმედისა, ჯგუფის წევრები ჯერ რაღაც ლათაიებს მოჰყვნენ—სამედიატორო სამართლით საქმის გამორკვევა არ შეიძლება, რადგან ის მხოლოდ პირად ანგარიშების გასასწორებლათ არის მოგონილი (sic!), ჩვენი-კი ისე გიყურებთ, როგორც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ძალასაო... შემდეგ-კი როცა ამ-გვარ ლათაიებით გაბეზრებულმა საქმე ოფიციალურ ნიადაგზე დავაყენე და რწმუნებული სტუდ. ალ. ჭლამბაშიძე გავუგზავნე, პასუხი არც-კი მომცეს, მიუხედავად ამისა, რომ 4 დღის განმავლობაში დამპირდენ პასუხის მიცემას.

ამ რიგად, ჩემმა მოწინაამდეგეებმა გვერდი აუქციეს სამედიატორო სამართალს და ამით საუკეთესოდ დაამტკიცეს თავის სიმტყუვნე და ცილის მწამებლობა: ის, ვინც თავის ნათქვამს სამართალში დამტკიცებას გაურბის (თუნდ ამ გაქცევის „უკადრისობით“ ხსნიდეს), თავისი პირით ამბობს, მტყუანი ვარ და ჭორიკანაო. მეც შემეძლო და ამ ფორმალურ საბუთით ხელში საბოლოოდ შემეწყვიტა მათთან ლაპარაკი და შესაფერი სახელწოდება მეძღვნა, მაგრამ მსურს-რა ერთხელ და საბოლოოდ გავაქარწყლო მათი ბრალდება და **მათ-მიერვე არჩეულ მედიატორეს დავაგმობინო მათი საქციელი**—გაზეთის საშუალებით უკანასკნელ წინადადებას ვაძლევ: **1 ენკენისთვემდე** ამოირჩიონ თავის მხრივ ორი მედიატორი—ორსაც მე ამოვირჩევ, და ეს ოთხი კაცი თავმჯდომარეს ამოირჩევენ, როგორც ყველგან და ყოველთვის მიღებულია.

ამ ვადამდე თუ ჩემი სამართლიანი მოთხოვნილება ასრულებული არ იქნა, ჩემ წინააღმდეგ ხომ არ ერთს „ჯგუფელს“ კრინტი აღარ დაეძვრის და მეც ისე მოვეპყრობი, როგორც ეპყრობიან იმათ, ვინც რასმე იტყვის ადამიანზე ხოლო სამართალზე-კი როცა მიდგება საქმე,—კუდამოძუებული გარბის, გასაძვრომ-გამოსაძრომ სოროებს დაეძებს.

ესეც გამომაცხადებია, რომ სხვა არავითარ წერილსე პასუხს არ გავცემ—მიპასუხონ: უნდათ თუ არა ჩვენი საქმის სამედიატორო სამართლით გადაწყვეტა; ჩემი საქმე იმდენათ რთულია, რომ სხვამხრივ მისი გადაწყვეტა შეუძლებლად მიმაჩნია.

ილია ჭავჭავაძის წრის წევრი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი

გ. თ. ჟორდანია.

---

*) თურმე რამდენიმე „ხულიგანური“ (ვითომ) საქციელი ჩამიდენია... აი ამაზე იტყვიან: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო!“.

**) როგორც ეს, ისე ყველა ქვემო მოყვანილი ფაქტები ჩაწერილია ი. ჭ—ს წრის ოქმებში, რომელთა ამ ნაწერებს ამასთანავე ვუდგენ რედაქციას.

*) ლამბაშიძის წერილსაც რედაქციას ვუძღვნ.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—124)

დავკარგე 14 ივნისს სუმბათოკასა და ქვიშხეთის სადგურებს შორის მატარებელში ჩემოდანი, რომელშიდაც სხვათა შორის იყო ჩემი დოკუმენტები: მეტრიკა, სიმწიფის ატესტატი და სხ. ვთხოვ, ვინც იპოვის, გამოგზავნოს ჩემი დოკუმენტები, რომელიც ჩემთვის ძალიან საჭიროა და სხვას კი არ გამოადგება, ჩემს სახელზედ ან ბინაზედ.—Тифлисъ, Слѣпцовскій пер. N 3 Мгеброву, ან რომელიმე რედაქციაში, რისთვისაც ჩემგან მიიღებს საჩუქარს. **გიორგი მგებროვი.** (3—3)

სუფთა და ჩქარ წერას ვასწავლი 10 გაკვეთილის მიცემით პირადად თუ წერილობით **დაჯილდ. უნივერსიტეტის ატესტ**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი საცდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.

Одесса, проф. каллиграфіи А. КОССОДО Дерибасовская, д. Грузевича. (10—ფ.—4)

დოქტ. ნავასარდიანის

დაარსებულია 18[illegible]

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. [illegible] ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1[illegible] ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ:	N 1, სწრ.	საღ. 11 ს. 28 წ.
	N 3, საფ-ს.	დღ. 1 ს. 24 წ.
	N 5, სამგზ.	საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ:	N 2, სწრაფ.	დილ. 8 ს. 15 წ.
	N 4, საფ-ს.	საღ. 10 ს. 4 წ.
	N 12, სამგზ.	დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ:	სამგზ.	დილ. 8 ს. 28 წ.
	სამგზავ.	დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ:	საფოსტო	ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ:	სამგზავრო	დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან:	N 2, სწრ.	დილ. 7 ს. 25 წ.
	N 4, საფ-ს.	საღ. 9 ს. 4 წ.
	N 6, სამგზ.	დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან:	N 1, სწრფ.	საღამ. 10 ს. 36 წ.
	N 3, საფოს.	დღ. 12 ს. 24 წ.
	N 1. სამგზ.	დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან:	სამგზ.	დილ. 6 ს. 28 წ.
	სამგზ.	საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან:	საფოსტ.	დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან:	სამგზავ.	დღის. 6 ს. 33 წ.

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

შემთხვევით იყიდება

ძლიერ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS.

კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯევატერისა

ამერიკაში

აწვდის

ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში

სავაჭრო სახლი ძმ. სტეკპუნები ბაქოში

განყოფილებანი: მერვსა, კოკანდსა, **წარმომადგენლები:** ტაშკენტსა, ბაფრუშსა (სპარსეთი. ადმინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო საზ. **ე. გ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—7)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„როზა“

(„ვარდი“)

ტფილისი, ურბნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—32)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩ. № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.